EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

იანვარი 2010 №1 (13)

2010 წლის 13-14 იანვარს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე — დავით დარჩიაშვილი ქ. ბრიუსელში იმყოფებოდა, სადაც მან მონაწილეობა მიიღო **„აღმოსავლეთის პარტნიორობის" საპარლამენტო ასამბლეის (Euro-Nest PA)** სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

ზოგადად Euro-Nest PA-ისა და ზემოთ აღნიშნული ღონისძიების მნიშვნელობასა და შედეგებზე ვესაუბრეთ **დავით დარჩიაშვილს**:

საიდან მოდის Euro-Nest PA-ის შექმნის იდეა?

საპარლამენტო ასამბლეის შექმნას „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ინიციატივა თავიდანვე ითვალისწინებდა. მას შემდეგ, რაც 2009 წლის 7 მაისის პრაღის სამიტზე იგი ევროკავშირის ოფიციალურ პოლიტიკად ჩამოყალიბდა, დაიწყო აქტიური კონსულტაციები მისი ფორმირების შესახებ.

თავდაპირველად სხვადასხვა იდეა არსებობდა, თუ რა სახე უნდა მიეღო აღნიშნულ საპარალამენტო განზომილებას. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებში, მათ შორის საქართველოშიც, თავიდანვე პოპულარული იყო შეხედულება, შექმნილიყო ცალკე საპარლამენტო ასამბლეა. ევროპარლამენტში ამ იდეამ მხარდაჭერა მოიპოვა და ევროკავშირის აღნიშნულ ორგანოში უკვე შეიქმნა სპეციალური დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „აღმოსავლეთის პარტნიორობის" საპარლამენტო ასამბლეაში, ანუ Euro-Nest PA—ში.

როგორ მიმდინარეობს კონსულტაციების პროცესი და მიღებული იქნა თუ არა რაიმე დოკუმენტი?

უკრაინის ინიციატივით ჯერ კიდევ 2009 წლის მაისში შევიმუშავეთ პირველი დოკუმენტი, შეხვედრა კიევში შედგა, რომელშიც უკრაინის, საქართველოსა და აზერბაიჯანის საპარლამენტო დელეგაციებმა მიიღეს მონაწილეობა. შემდეგ უკვე ოქტომბერში ჩატარდა საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრა ევროპარლამენტარებისა და ასევე ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების ევროვნული პარლამენტების წევრების მონაწილეობით.

მაშინ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა შვედეთი იყო და აღნიშნულ ღონისძიებას ამ ქვეყნის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა სტოკჰოლმში უმასპინძლა. შეხვედრაზე კიევში გაჟღერებულ ჩვენს შეხედულებებს პრაქტიკულად შეურთდა სომხეთი, მოლდოვა და ბელორუსი. თუმცა ბელორუსს დამატებითი დაბრკოლებები აქვს ევროკავშირთან ასე ვთქვათ „განსხვავებული ურთიერთობების" გამო.

სტოკჰოლმში სამუშაო ჯგუფის აღნიშნულ შეხვედრაზე გამოჩნდა გარკვეული უთანხმოება ევროპარლამენტარებისა და ევროპის კავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის ეროვნული პარლამენტების წარმომადგენლების შეხედულებებს შორის. ეს უკანასკნელნი თვლიდნენ, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის" საპარლამენტო ასამბლეაში ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული პარლამენტების წევრებიც უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, ისევე, როგორც ეს არის ევროკავშირი-ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ევროკავშირი-ლათინური ამერიკის საპარლამენტო ასამბლეებში. ევროპარლამენტარების ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ აღნიშნულმა ორმა მოდელმა მაინცდამაინც არ გაამართლა და ოპერატიული სამუშაო ვითარებისთვის უმჯობესი იქნებოდა, ასამბლეა შედგებოდეს მხოლოდ ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნების პარლამენტთა და ევროპარლამენტის წარმომადგენლებისაგან.

ამის შემდეგ კონსულტაციები გაგრძელდა. ექვსი პარტნიორი ქვეყნის, ევროპარლამენტის, შვედეთის, ლიტვის, ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტების წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის ბოლო შეხვედრა 13-14 იანვარს ბრიუსელში გაიმართა.

რა საკითხები იქნა განხილული აღნიშნული შეხვედრაზე?

შეხვედრა იმ დოკუმენტის განხილვას მიეძღვნა, რომელიც სამუშაო ჯგუფის ევროპულმა ნაწილმა შეიმუშავა. აქ გარკვეულ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ჩვენ ვფიქრობდით, რომ უნდა გვესაუბრა Euro-Nest-ის საპარლამენტო ასამბლეის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ევროპულ მხარეს დამატებითი ფორმატის შექმნა სურს, რომლის მიხედვითაც, ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების წარმომადგენელთა ყოველწლიური კონფერენციები - ე.წ. COFACC პლათფორმად იქნას აღებული და შეიქმნას COFACC+, ან გაფართოებული COFACC, სადაც აღნიშნული კონფერენციის წარმომადგენლები პერიოდულად შეხვდებიან „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ინიციატივაში ჩართული ქვეყნების პარლამენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების წევრებს.

აღმოჩნდა, რომ ეს არ არის Euro-Nest-ის საპარლამენტო ასამბლეის ალტერნატივა. იგი დამატებით ფორმატს წარმოადგენს. მე პირადად წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, პირიქით — კარგი იქნება, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ პარლამენტებთან ორმხრივი კავშირები საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების დონეზეც გვექნება.

ჩვენ ასევე ვიფიქრეთ, რომ სასურველია, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენციის (COSAC) დონეზეც იყოს მსგავსი შეხვედრები. შვედურმა მხარემ მიიჩნია, რომ მათი იდეა უფრო აქტუალური და საქმიანი შეიძლება იყოს.

შეხვედრაზე ასევე გაჩნდა იდეა, რომ თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა ყოფილიყო ვთქვათ COFACC-ის წარმომადგენელთა დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა Euro-Nest PA—ში, ან პირიქით - Euro-Nest PA-ის წარმომადგენლების ასევე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა COFACC-ში, თუმცა ამ იდეას დიდი მხარდაჭერა ამ ეტაპზე არ ჰქონია.

შეხვერის ბოლოს გადაწყდა, რომ, შვედეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის - იორან ლენმარკერის ხელმძღვანელობით, ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, შემუშავდება საბოლოო ტექსტი, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრებს დაურიგდებათ., რომლის შემდეგაც კიდევ ერთხელ განვიხილავთ ამ საკითხებს.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

იანვრის დაიჯესტი

ბუზეკი სოციალურ ქსელებს აქტიურად იყენებს

ევროპის პარლამენტის პოლონელმა თავმჯდომარემ - იერჟი ბუზეკმა ევროპის მოქალაქეებთან კომუნიკაციის გასაადვილებლად სოციალურ ქსელ "Twitter"-ზე საკუთარი გვერდი შექმნა. ბუზეკი ევროპარლამენტის პირველი თავმჯდომარეა, რომელიც პროფესიულ საქმიანობაში მიკრო-ბლოგის მომსახურებას იყენებს.

2009 წლის 1 დეკემბერს „ლისაბონის ხელშეკრულების" ძალაში შესვლის შემდეგ ევროპარლამენტის უფლებამოსილება და გავლენა გაიზარდა. ბუზეკი მიიჩნევს, რომ სწორედ ამიტომ ევროპის მოსახლეობასთან კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენებაა საჭირო.

ევროპარლამენტის თავმჯდომარეს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელ "Facebook"-ზეც აქვს დარეგისტრირებული, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საინტერესოა, გაითვალისწინებენ თუ არა აღნიშნულ მაგალითს ბუზეკის კოლეგები. გასული წლის შემოდგომაზე ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ევროპარლამენტართა უმრავლესობა მოქალაქეებთან ურთიერთობის ისეთ ტრადიციულ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას, როგორიცაა ოფიციალური წერილები.

ევროკომისიის დელეგაციების უფლებამოსილებები იზრდება

2010 წლის 1 იანვრიდან მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ევროკომისიის დელეგაციებს სახელი შეეცვალათ. მათ ევროკავშირის დელეგაციები ეწოდათ. გარდა ამისა, 136 დელეგაციიდან 54-მა საელჩოს ტიპის მისიის სახე მიიღო, რომელთაც უფლება აქვთ, მთელი ევროკავშირის სახელით გააკეთონ განცხადებები, თუმცა ასეთი განცხადებები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული გაერთიანების 27 წევრ ქვეყანასთან. ამასთანავე, ასეთი სახის დელეგაციები ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების იმ მაკოორდინირებელ ფუნქციებსაც შეითავსებენ, რომელთაც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საელჩო ასრულებდა.

დიპლომატიურ წარმომადგენლობებში აღნიშნულ ცვლილებებს 2009 წლის 1 დეკემბერს ამოქმედებული „ლისაბონის ხელშეკრულება" ითვალისწინებს.

ახალი უფლებამოსილებით აღჭურვილ 54 დელეგაციაში 8 ევროპული წარმომადგენლობა მოხვდა. კერძოდ, ევროკავშირის დელეგაციები საქართველოში, სომხეთში, უკრაინაში, მაკედონიაში, მოლდოვაში, ნორვეგიაში, სერბეთსა და შვეიცარიაში.

ევროკავშირის 136 წარმომადგენლობიდან 54 დელეგაცია, ევროპული გაერთიანების წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შედეგად, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა — კეტრინ ეშტონმა შეარჩია

ევროკომისრის 26 პოსტის დასაკავებლად 25 კანდიდატის ვინაობა უკვე ცნობილია

ევროპარლამენტის თავმჯდომარე იერჟი ბუზეკმა დაადასტურა, რომ ევროკომისრობის 26 კანდიდატიდან 25-ის ვინაობა ფორმალურად უკვე ცნობილია.

ევროპარლამენტის ყველაზე დიდ პოლიტიკურ ჯგუფში - „ევროპის სახალხო პარტია" მიიჩნევენ, რომ ევროკომისიის თავმჯდომარის - ჟოზე მანუელ ბაროზოს გუნდი ხმათა დიდ უმრავლესობას მიიღებს..

26-ე ევროკომისარი სავარაუდოდ კრისტალინა გეორგიევა გახდება, რომლის ნომინირებაც ბულგარეთმა რუმიანა ჟელევას კანდიდატურის ჩაგდების შემდეგ გადაწყვიტა. გეორგიევა ევროპარლამენტის წინაშე 3 თებერვალს წარდგება, ხოლო ევროკომისიის საბოლოო შემადგენლობა სავარაუდოდ 9 თებერვალს დამტკიცდება.

"ევროს" ზონაში უმუშევრობამ 10%-ს მიაღწია

2010 წლის 8 იანვარს ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურმა - „ევროსტატმა" 2009 წლის ნოემბრის მონაცემები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვითაც, ევროპული გაერთიანების ერთიანი ვალუტის - „ევროს" მოქმედების ზონაში უმუშევრობის დონემ - 10%-ს მიაღწია. შედარებისთვის, 2008 წლის ნოემბრისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 8%-ს შეადგენდა.

„ევროსტატის" მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე ნიდერლანდებსა (3.9%) და ავსტრიაში (5.5%) დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ლატვიასა (22.3%) და ესპანეთს (19.4%) აქვთ.

ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით, ევროკავშირის ყველა სახელმწიფოში უმუშევრობა გაიზარდა.

სამხრეთ კავკასია; კატასტროფებისთვის მზადყოფნის მიზნით ევროკომისიამ 2 მილიონი ევრო გამოყო

ბუნებრივი კატასტროფებისთვის მზადყოფნის მიზნით აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს ევროკომისიამ 2 მილიონი ევრო გამოუყო. ეს ქვეყნები რეგულარულად და მზარდი ტემპით განიცდიან ზარალს ისეთ ბუნებრივ კატასტროფებისგან, როგორიცაა მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა და მიწისძვრა.

აღნიშნული დახმარება გააძლიერებს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაძლებლობებს, უკეთ გაუმკლავდნენ აღნიშნულ კატასტროფებს. თანხას გამოყოფს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს კარელ დე გუტი.

დახმარების მიზანია ისეთი ღონისძიებების მხარდაჭერა, რომლებიც გაზრდის მოსახლეობისა და ინსტიტუტების მზადყოფნას და შეამცირებს რისკებს ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოფხვრის პროცესში.

ამ სფეროში განხორციელებული პროექტები გააადვილებს კოორდინაციასა და ცოდნის გაზიარებას, როგორც სამივე ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონის მასშტაბით. აღნიშნული პროექტების საშუალებით, გაღრმავდება ცოდნა კატასტროფების მართვის, ტრეინინგებისა და წინასწარი შეტყობინების სისტემების შესახებ, ასევე, შესაძლებელი იქნება ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირება და ისეთი პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, როგორიცაა ევაკუაციის სცენარის გათამაშება და სავარჯშო მანევრები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მცირე ზომის ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მომსახურება.

პროექტი მიმართული იქნება ქალებზე, ბავშვებსა და რისკის ქვეშ მყოფ ისეთ ჯგუფებზე, როგორებიცაა ინვალიდები და ეთნიკური უმცირესობები.

ევროკომისიის მიერ დაფინანსე-

ბული ჰუმანიტარული პროექტები განხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს სპეციალიზებული სააგენტოებისა და წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ.

(ოფიციალური თარგმანი)

პოლონეთი ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანებას მხარს უჭერს

უკრაინის 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის მთლიანობაში გამჭვირვალედ და სუფთად ჩატარების შემდეგ პოლონელმა მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად იმისა, თუ ვინ გახდება უკრაინის პრეზიდენტი, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები აჩვენებს, რომ უკრაინა ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზად არის.

ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ ჩატარებული არჩევნები მაღალ დონეზე შეაფასა. ამასთანავე, აღინიშნა, რომ წინა არჩევნებთან შედარებით, პროგრესი აშკარაა.

„ჩვენ შევხედავთ, თუ ვის აირჩევს პრეზიდენტად უკრაინელი ხალხი მეორე ტურში, მაგრამ ვფიქრობ, რომ უკრაინამ უკვე განსაზღვრა თავისი კურსი და არა მგონია არჩევნების შედეგებმა იგი მნიშვნელოვანად შეცვალოს. უკრაინა ევროპის ნაწილია", - საინფორმაციო სააგენტო „Reuters"-ს განუცხადა პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველმა მარიუშ ჰანძლიკმა.

აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი. სიკორსკის თქმით, პოლონეთი კვლავ მხარს დაუჭერს უკრაინის გაწევრიანებას ევროპის კავშირში.

„პოლონეთს სურს, საუკეთესო ურთიერთობები დაამყაროს დემოკრატიულად არჩეულ უკრაინის ნებისმიერ პრეზიდენტთან. ჩვენ პატივს ვცემთ უკრაინელი ხალხის არჩევანს, როგორიც არ უნდა იყოს ის," — აღნიშნა სიკორსკიმ.

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com; www.euobserver.com;
www.delgeo.ec.europa.eu.

ევრობიბლიოთეკა

"ლისაბონის ხელშეკრულება"
გამომცემლობა: Foundation for EU Democracy
ავტორი: იენს-პიტერ ბონდი
ენა: ინგლისური
გამოცემის თარიღი: 2009 წლის სექტემბერი
ფასი: 15 €

"ხმელთაშუა ზღვის კუნძულები"
გამომცემლობა: Survival Books
ავტორი: ჩარლზ არნოლდი
ენა: ინგლისური
გამოცემის თარიღი: 2008 წელი
ფასი: 30€

წიგნების შეძენა შესაძლებელია ვებ-გვერდზე:
http://eubookshop.com



ევროეიქსიკონი

ახალგაზრდები ევროკავშირში – ცხოვრების დონის სტატისტიკური სურათი

ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურმა - „ევროსტატმა" ევროპელი ახალგაზრდების ცხოვრების დონის ამსახველი მონაცემები გამოაქვეყნა. აღნიშნული კვლევა ევროკავშირის საბჭოს ახალ რეზოლუციას უკავშირდება, რომელიც 2010-2018 წლებისთვის ამ სფეროს განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ახალგაზრდების ცხოვრების სტილი ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებულია. კვლევაში შეფასდა ახალგაზრდების მდგომარეობა იმის მიხედვით, თუ როგორია მათი დასაქმება, კულტურული აქტივობა, ზოგადად ცხოვრების სტილი და ა.შ.

ევროპელი ახალგაზრდების უმრავლესობა მშობელთა საცხოვრებელ სახლებს 30 წლის შესრულებამდე ტოვებენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან. როგორც წესი, ბიჭები უფრო დიდხანს რჩებიან მშობელთა სახლებში ვიდრე გოგონები. მათი საშუალო ასაკი ევროკავშირის ქვეყნებს შორის განსხვავებულია. მაგალითად, 2007 წლის მონაცემებით, ფინელი მამაკაცების, რომლებიც მშობლების სახლებს ტოვებდნენ, საშუალო ასაკი 23.1 წელი იყო, საფრანგეთისა და ნიდერლანდების შემთხვევაში - 24.2 წელი, ბულგარეთში, სლოვენიასა და სლოვაკეთში - 31.5 წელი. დამოუკიდებელი ცხოვრების დამწყები ქალების საშუალო ასაკი ევროგაერთიანების ყველა წევრ სახელმწიფოში 30 წლამდეა და მერყეობს 22-დან (ფინეთი) 29.8 წლამდე (სლოვაკეთი).

ასევე განსხვავებული სურათია ახალგაზრდების დასაქმების კუთხითაც. 2009 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, 25-დან 34-წლამდე მოსახლეობის უმუშევრობის საშუალო ევროპული მაჩვენებელი შეადგენს: 19.2%-ს - განათლების დაბალი დონის, 9.1%-ს - საშუალო განათლებისა და 5.9%-ს უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის. ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, გარდა საბერძნეთისა, მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა: რაც უფრო მაღალია ახალგაზრდების განათლების დონე, მით უფრო დაბალია მათი უმუშევრობის მაჩვენებელი. მაგალითად, ჰოლანდიაში უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის უმუშევრობა 1.9%-ს შეადგენს, ხოლო ესპანეთში - 11.8%-ს. იგივე მონაცემები დაბალი განათლების მქონე ახალგაზრდების შემთხვევაში ჰოლანდიაში 6.4%-ია, ხოლო სლოვაკეთში - 53.7%. რაც შეეხება მოკლევადიან დასაქმებას, 2008 წლის მონაცემებით, ევროკავშირის მასშტაბით 15-24 წლის ასაკის მოსახლეობის 39.4%, 25-29 წლის - 20.4% და 30-54 წლის - 9.2% იყო დროებით დასაქმებული. ახალგაზრდებს შორის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ ისინი სწავლასა და დროებით დასაქმებას ერთმანეთს უთავსებენ.

ევროპელი ახალგაზრდების კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის დონეც ქვეყნების მიხედვით ასევე საკმაოდ განსხვავდება. მაგალითად, 2006 წელს 16-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 77% და 30 წელს გადაცილებულთა 37% წელიწადში ერთხელ მაინც დადიოდა კინოში. ამ მხრივ ყველაზე დიდი მაჩვენებელი გერმანიაში (87%) იყო, ხოლო ყველაზე მცირე - ბულგარეთში (38%).

ევრო პალიტრა

ესპანეთის პარლამენტის შეკმნის მოკრე ისტორია

ესპანეთის პარლამენტის შენობა

კორტესების სასახლე, რომელიც ამჟამად ესპანეთის პარლამენტის ქვედა პალატის - კონგრესის ადგილსამყოფელს წარმოადგენს, დედოფალ ისაბელ I-ის მიერ 1850 წლის 31 ოქტომბერს გაიხსნა. ამ შენობის ასაშენებლად არქიტექტორებს შორის გამოცხადებულ კონკურსში დონ ნარსისო პასკუალ კოლომერმა გაიმარჯვა. სწორედ მისი პროექტის მიხედვით 1843-1850 წლებში აიგო კორტესების ნეოკლასიკური სტილის სასახლე. ის XIX საუკუნის მადრიდის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაგებობაა.

კორტესების სისტემა ესპანეთში შუა საუკუნეებში ჩნდება. კორტე მეფის მრჩეველთა საბჭოს წარმოადგენდა, რომელიც ყველაზე გავლენიანი ფეოდალებისგან შედგებოდა. ლეონის სამეფოს კორტესების ისტორია 1188 წლიდან იწყება. ის პირველი ესპანური მთავრობის შემადგენელი ნაწილი იყო მეტ-ნაკლები წარმომადგენლობითი ნიშნებით. 1230 წლიდან, ლეონისა და კასტილიის კორტესების გაერთიანების მიუხედავად, მათი უფლებამოსილება სულ უფრო იზღუდებოდა.

XI-XV საუკუნეებში ბურჟუაზიის ზრდასა და გაძლიერებასთან ერთად მეფემ კორტესებში ქალაქების წარმომადგენლების შეყვანა დაიწყო. ამ დროს კორტესებს უკვე მეფის გადაწყვეტილებებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და მათთვის ვეტოს დადების უფლებაც კი ჰქონდათ.

XV საუკუნეში ესპანეთის კათოლიკე მეფეებმა - ისაბელმა და ფერდინანდმა დაიწყეს კორტესების ძალაუფლების შეზღუდვა. დაძაბულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გადასახადების გაზრდა-შემცირების გადაწყვეტილებები იყო, რაც კორტესების განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. მაგალითად, როდესაც დედოფალმა ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობის დაფინანსება მოისურვა, კორტესების დასარწმუნებლად მას გააფთრებული ბრძოლა მოუწია, თუმცა საბოლოოდ მათი თანხმობა მაინც მოიპოვა.

მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე კორტესების როლი მხოლოდ მონარქის გადაწყვეტილების ფორმალური დამტკიცება იყო.

1873 წელს მონარქია დაემხო და გამოცხადდა რესპუბლიკა. კონგრესმა კონსტიტუციის შექმნა დაიწყო, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ძალაუფლება პარლამენტს ენიჭებოდა. რესპუბლიკურმა ესპანეთმა დიდხანს ვერ იარსება, 1874 წელს რამდენიმე ღრმა კრიზისის შემდეგ მონარქია აღდგა. პირველი რესპუბლიკური კრიზისის შემდეგ დამყარებულ რეჟიმს რესტავრაციის პერიოდი ეწოდა. 1931 წელს მონარქია დაემხო და ესპანეთი კვლავ რესპუბლიკა გახდა. 1936 წელს გენერალ ფრანკოს აჯანყებით დაიწყო სამოქალაქო ომი, რომლის შედეგადაც 1939 წელს სამხედრო დიქტატურა დამყარდა.

1975 წელს ესპანეთში კონსტიტუციური მონარქია აღსდგა და შემოღებულ იქნა საპარლამენტო სისტემა — გენერალური კორტესები, რომელიც შედგება ზედა პალატის — სენატისა და ქვედა პალატის — დეპუტატთა კონგრესისგან.

გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ

28 13 29

euinfocentre@parliament.ge

საქართველოს მოქალაქეებისათვის რომელი ევროპული უნივერსიტეტების სტიპენდიები და პროგრამებია ხელმისაწვდომი?

- 2003 წლიდან სლოვაკეთის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს ვიშეგრადის ფონდი, რომლის ფარგლებში დაახლოებით 4000-მდე სტიპენდია გაიცემა, როგორც ევროკავშირის, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისათვის (მათ შორის ქართველი სტუდენტებისთვისაც). დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე http://scholarships.visegradfund.org./
- „ღია საზოგადოების ინსტიტუტი", დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო და ვორვიკის უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებენ კონკურსს ერთწლიანი სტიპენდიის მოსაპოვებლად ვორვიკის უნივერსიტეტში.
- კონკურსის პირობების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციისათვის იხილეთ შემდეგი ვებ-გვერდი: http://www.cie.ge/?i=8&l=2&i2=597
- ონასისის სახალხო ფონდის კვლევითი გრანტებისა და საგანმანათლებლო სტიპენდიების მოპოვების მსურველები დეტალური ინფორმაციის მისაღებად უნდა ეწვიონ შემდეგ ვებ-გვერდს: www.onassis.gr.
- ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში იწვევს ქართველ სტუდენტებს ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. სრული ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ შემდეგ ვებ-გვერდს: www.aubg.bg.
- „ღია საზოგადოების ინსტიტუტი", დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო და ედინბურგის უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებენ კონკურსს ერთწლიანი სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსის პირობები იხილეთ ვებ-გვერდზე: http://www.cie.ge/?i=8&l=2&i2=595

ინფორმაციის წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საერთაშორისო განათლების ცენტრი CIE (იხ. ვებ-გვერდი http://edu.aris.ge/ge/content/categories/32/).

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
"ევროპის ღრუბელი"
იბეჭდება 4 რეგიონალურ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნაცვლიშვილი, ირინა ცერცვაძე, თეა ცარიელაშვილი, ქეთი გუნიავა და მარიკა ასპარავა.

"ევროპის ღრუბელი" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე:
www.parliament.ge